№3- 367

26.06.19

ი.მ. ლევან ბეჟანიშვილს

საკითხს აშუქებს მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge

ბატონო ლევან,

მომხმარებელმა გვაცნობა, რომ მაღაზია „სპარის" ქსელში იყიდება პროდუქტი „შუამთა, სულგუნი", რომელსაც შემადგენლობაში მითითებული აქვს მხოლოდ „სულგუნი".

საჩივრის გადამოწმების მიზნით, 2019 წლის 25 ივნისს მაღაზია „სპარში" (თბილისი, 26 მაისის მოედანი #1, სს „ფუდმარტი") შევიძინეთ თქვენს მიერ დამზადებული პროდუქტი „შუამთა, სულგუნი", რომელსაც შემადგენლობაში მხოლოდ „სულგუნი" ჰქონდა მითითებული, ხოლო მწარმოებლის მისამართი არ იყო დატანილი. ეს წარმოადგენს ტექნიკური რეგლამენტის „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე" დარღვევას.

პროდუქტის ეტიკეტის ფოტოს და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;
- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ ორგანიზაციის ტელეფონზე და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მიერ მითითებულ მაღაზიას და შეისყიდის თქვენს მიერ მითითებულ სურსათს. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ

გაითვალისწინოთ; მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება, რა თქმა უნდა, მოულოდნელად.

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (http://www.facebook.com/momxmarebeli.ge) კომენტირებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge


დამზადებულია საქართველოში
შუამთა
სულგუნი
ოსტ 242-83
შენახვის პირობები:
+3°C – +12°C
შენახვის ვადა: 30 დღე
აღიარების № GE04040162
ს/კ 20001008282
გამოშვების თარიღი:
19 MAY 2019
E-mail: levan.bejanishvili@rambler.ru
ი/მ ლევან ბეჟანიშვილი
ნატურალური რძის პროდუქტი
შემადგენლობა: სულგუნი
ენერგეტიკული ღირებულება 100გრ პროდუქტზე -311,5 კკალ
რძის შემადგენელი ფერმენტი
ცხიმიანობა: 45%
ტენიანობა: 50%
მარილი: 0,5%
ქართული რძე
GEORGIAN MILK
WWW.GEORGIANMILK.GE
000160

სს ფუდმარტი
26 მაისის მოედ. N1
ს/ნ: 404460187
KOS_221 03-1 559.ნინ 01
გაყიდვა 8.42 A
# ყველი /შუა მთა სულგუნი ვაკუუ #
# 0,49x17,25-0% = 8,42 #
ჯამი: ₾8.42
ბარათი 8.42
# ფასდაკლება:0,00 #
# სსა ჩეკი # 000496785 #
01 სალო
გმადლობთ!
131361 25-06-2019 12:56
DY00105692 FM00404345
ავტორიზაციის კოდი: 834825 T:1
000 დადებითი პასუხი
დადასტურებულია

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0460287057 |
|---|---|---|

/06/2019
...ხვი, თვე, წელი)

| 3 | 13:01:59 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| | 404460187 |
|---|---|
| ... სახელი და | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | 204873618 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

...რტირების გარეშე

| 7 | თბილისი, 26 მაისის მოედანი #1 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | X |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

X

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყველი, შუა მთა სულგუნი ვაკუუმში, წონის | 00-00044404 | კგ | 0.4880 | 17.2541 | 8.4200 |

| 13 | 8.42 - რვა ლარი და ორმოცდაორი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|